ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა.

ქ.ამბროლაური *2026 წლის 02 ივლისი*

ოქმი N 2

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გურამ დავითულიანი - ქალაქ ამბროლაურის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი ,

2. გაიოზ ჯაფარიძე -ამბროლაურის მუნიციპალიტეტის იწის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი,

3. თეკლა მაჭავარიანი – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ნიკორწმინდის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი ,

4. ირინა კერესელიძე – **საბჭოს თავმჯდომარე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სადმელის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი ,

5. ვერა მელაშვილი -ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხიდიკრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი ,

6.გიორგი შავლაძე- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ნამანევის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი ,

7.სოსო ცხვედიანი - შპს „გეოფლაუერი"-ს წარმომადგენელი ,

8.თამარ ფრუიძე -შპს „ბარაკონი"-ს წარმომადგენელი.

ამბოლაურის მუნიციპალიტეტის **მერი - ზაზა ქევანიშვილი.**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე- **თამარ ქევანაშვილი.**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - **ირმა ფრუიძე.**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი- **ზეკან კობახიძე.**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელი- **ეკატერინე ლაშხი.**

დღის წესრიგი:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა მერის უფლებამოსილების ვადით.
2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის განხილვა.
3. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა-"ის ფარგლებში 2026 წელს განსახორციელებელი პროექტების თაობაზე ინფორმაციის გაცნობა .
4. „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის შესახებ" ინფორმაციის გაცნობა.
5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ნიკორწმინდაში მდებარე უძრავი ქონების ს/კ 86.11.26.217 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილის, სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე საკითხის განხილვა.
6. სხვადასხვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა- მერმა მოუწოდა საბჭოს წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით დაესახელებინათ თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურა, რომელიც მერის უფლებამოსილების ვადით უხელმძღვანელებს საბჭოს.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების შესაბამისად კანდიდატის დასახელების უფლება აქვს 3 წევრს, შესაბამისად საჭიროა ასარჩევი კანდიდატის დასახელება .

საბჭოს წევრებმა , სოსო ცხვედიანმა , ირინა კერესელიძემ და თამარ ფრუიძემ დაასახელეს თეკლა მაჭავარიანის კანდიდატურა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ერთხმად არჩეულ იქნა **თეკლა მაჭავარიანი**.

მომხრე 7 - , წინააღმდეგი - 0

რაც შეეხება **დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს**:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი - 2026 წლის ბიუჯეტის განხილვა - საფინანსო სამსახურის უფროსმა ბეჟან კობახიძემ ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე, მან საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო თუ რა მოხდა 6 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რა შემოსავლები შემოვიდა ,რა დაიგეგმა და რა ვერ აითვისა მუნიციპალიტეტმა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პირველ სხდომაზე მან ისაუბრა უკვე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე ,რომელიც **19 361,3** იყო განსაზღვრული ,თუმცა დღეის მდგომარეობით 29265,5 ათას ლარზე ავიდა , ეს თანხა ძირითადად გვეძლევა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციებელად , ასევე ახსენა სოფლის მხარდაჭერის პროგრმა ,რომელზეც გამოყოფილია 734, 0 ათასი ლარი ,

ბეჟან კობახიძემ აღნიშნა, რომ დაემატათ სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები ,რომელზეც გამოყოფილია 1000,0 ათას ლარამდე , ასევე არსებობს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებზე გამოყოფილი თანხა ,რომელიც 1400,0 ათას ლარამდეა , ახალი მიმართულება არის დამატებული სტიქიის საპრევენციო ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხა ,რომელიც ნახევარ მილიონამდეა გამოყოფილი , ეს ახალი

მიმართულებაა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დანერგილი და აღნიშნა ,რომ ყველაზე ეფექტური უნდა იყოს ,მიმდინარეობს ყოველდღიურად ამ საკითხზე მუშაობა.

ბეჟან კობახიძემ მოუწოდა საბჭოს წევრებს ,რომ დიდი სურვილი აქვს თუ მათგან წამოვა რამე საინტერესო ინიციატივა , რომ მუნიციპალიტეტმა შეძლოს დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საწყის ეტაპზე შეადგენდა **19 361,3** ათას ლარს (2026 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაიზარდა 9904,4.8 ათასი ლარით). აღნიშნული გამოწვეულია საგადასახადო შემოსავლების ზრდით და გრანტების გეგმის ზრდით.

2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა რომელიც გამომდინარეობს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 600 ლარის ოდენობით ნაცვლად 1460 ლარისა.

2026 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 11650,2ათასი ლარი; მათ შორის:**
- ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 6217,7 ათასი ლარი;
- ✓ **წყლის სისტემების** განვითარება -802,0 ათასი ლარი;
- ✓ **გარე განათება - 749,0 ათასი ლარი;**
- ✓ **კეთილმოწყობის ღონისძიებები** - 730,8 ათასი ლარი;
- ✓ **სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია** - 34, 8 ათასი ლარი;
- ✓ **რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება** ხარჯები განსაზღვრულია 490,5 ათასი ლარი.
- ✓ **სატრანსპორტო მომსახურება** - 423,7 ათასი ლარი. პროგრამიდან ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

- **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1755,6 ათასი ლარი;**
- **განათლება - 3975,3 ათასი ლარი.**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 4201,0 ათასი ლარი .**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1572,3 ათასი ლარი.**
- **მმართველობა - 6111,4ათასი ლარი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელმა - **ეკატერინე ლაშხმა** საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი და დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია 2026 წელს „სოფლის მარდაჭერის პროგრამა"-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაზე. საბჭოს წევრებს გააცნო თითოეულ

დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა და მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადაფინანსება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ჩამონათვალი და მათი განხორციელების პროცედურები , ეკატერინე ლაშხმა აღნიშნა, რომ 70 მდე პროექტი ფინანსდება და 68 ხელშეკრულება ფორმდება მეწარმეებთან, ასევე აღნიშნა ,რომ ზოგიერთ სოფელში 2 პრიორიტეტი ხორციელდება , ისიც აღინიშნა რომ მოსახლეობამ თავად აირჩია რომელ თემში რისი გაკეთება სურდათ , წარმოდგენილი პრიორიტეტებიდან, მომზადდა პროექტები ხარჯთაღრიცხვებსა და შესაბამის დოკუმენტებთან ერთად, რომელსაც ამზადებს როგორც ინფრასტრუქტურის სამსახური, ასევე არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურიც. ამ ეტაპზე გაფორმებულია 5 ხელშეკრულება და ივლისის ბოლოსკენ სავარაუდოდ უნდა მოხდეს ყველა ხელშეკრულების გაფორმება .ზოგიერთი პროექტის მალე დაწყება, ასევე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წელსაც იგივე პრიორიტეტები/ მიმართულებები არის არჩეული მოსახლეობის მხრიდან ,როგორც გასულ წლებში: (გარე განათებები, გზები, სანიაღვრე არხების მოწყობისა და სხვა სამუშაოები კეთილმოწყობის მიმართულებით .)

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N85 განკარგულების საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტს 2026 წელს გამოეყო თანხა 734 000 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო თანადაფინანსების თანხა 30 000 ლარით. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისათვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა თანადაფინანსებით .

ოქმს თან ერთვის №1 დანართის შესაბამისად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა - **ირმა ფრუიძემ** საბჭოს წევრებს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის შესახებ“ დეტალური ინფორმაცია გააცნო .

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოცხადდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც მიიღება მერიის ნაწილობრივ ახალი სტრუქტურა, და უნდა განხორციელდეს შტატების გადაადგილება ან/და შემცირება.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის **19/05/2026 წლის №76. 762613910** ბრძანებით დამტკიცდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის განხორციელების მიზნით, რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა და განისაზღვრა პასუხისმგებელი პირები.

გეგმით განსაზღვრული ღონისძიებებიდან შემუშავდა მერიის ახალი სტრუქტურის პროექტი, განისაზღვრა მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო რიცხოვნობა, მომზადდა საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტები, აგრეთვე საკრებულოს ნორმატიული აქტების პროექტები, განისაზღვრა მერიის რეორგანიზაციის გამო გასაუქმებელი საშტატო თანამდებობები.

ამ ეტაპზე დასრულებულია რეორგანიზაციის მეორე ეტაპი, ამბროლაურის საკრებულოს მიერ დამტკიცდა მერიის ახალი სტრუქტურა, საშტატო ნუსხა და მერიის სამსახურის დებულებები. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის მიხედვით

ამ ეტაპზე მზადდება მერიის საშტატო ერთეულების სამუშაო აღწერილობი და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, განხორციელდება მერიის მოხელეთა გაფრთხილება რეორგანიზაციიდან გამომდინარე თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ.

დანართის სახით ოქმს ახლავს მერიის ახალი საშტატო სტრუქტურული ხე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ნიკორწმინდაში მდებარე უძრავი ქონების ს/კ 86.11.26.217 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილის, სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობის შესახებ ისაუბრა მერმა ზაზა ქევანიშვილმა და აღნიშნა, რომ ეს ახალი ადგილი იქნება უფრო მეტად უსაფრთხო და გამოყენებული დანიშნულებისამებრ .(პატრიოტთა ბანაკი).

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა ქევანიშვილმა ხაზი გაუსვა ისეთ სიახლეს,როგორიცაა მეორე საჯარო სკოლის გახსნა და აღნიშნა ,რომ წელს სექტემბერში სწავლის პროცესი განახლდება .

აზრი გამოთქვა: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის **მოადგილემ - თამარ ქევანაშვილმა** ისაუბრა „მთის განვითარების შესახებ "კანონში ცვლილებასთან დაკავშირებით და აღნიშნა ,რომ მისთვის პრიორიტეტია ახალგაზრდების დაბრუნება/ გამაგრება რაიონში , ახალ სტრატეგიაზე მიდის მუშაობა და გათვალისწინებული იქნება ის აქტუალური პრობლემა ,რაც აქვს მუნიციპალიტეტს, მთავრობაშიც არის შექმნილი საბჭო, რომელიც ამ თემაზე მუშაობს. თამარ ქევანაშვილმა ასევე ისაუბრა მუნიციპალიტეტში მიმდინარე იმ სიახლეებზე რომელიც გრძელდება და როგორიცაა ბინათმშენებლობის საკითხი სოციალურად შეჭირვებული უსახლკარო ბენეფიციარებისათვის.

აზრი გამოთქვა: საბჭოს თავმჯდომარემ -ირინა კერესელიძემ დადებითად შეაფასა ახალგაზრდული ბანაკის ლოკაციის შეცვლა, აღნიშნა ,რომ ახალგაზრდებისთვის მეტად უსაფრთხო და ეფექტური იქნება. კერესელიძე ასევე შეეხო ბინათმშენებლობის საკითხს და აღნიშნა, ამ პროგრამის მსგავსი კეთილი პროგრამა ჩვენს მუნიციპალიტეტს არ დაუნერგია , აღნიშნა რომ ეს პროგრამა კიდევ ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებს.

აზრი გამოთქვა: გურამ დავითულიანმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ისაუბრა იმ პრობლემატურ საკითხზე ,რომელიც დგას ჩვენს მუნიციპალიტეტში , აღნიშნა, რომ რაჭაში მწვავედ დგას შობადობის საკითხი , ბოლო წლების სტატისტიკა არცთუისე სახარბიელოა და ისურვა , რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდეს მეტი წახალისება ოჯახების , როგორც წინა შეხვედრაზე ,ანალოგიურად ამ შეხვედრაზეც შეეხო იგივე საკითხს ,ასევე ახსენა „მთის პროგრამა " და გამოვიდა ინიციატივით , რომ მსგავსი პროგრამა ისევ უნდა განხორციელდეს , როგორც იყო ადრე, რათა ახალგაზრდები დაბრუნდნენ და არ მოხდეს რაიონიდან წასვლა, როგორც დასაქმების მხრივ ,ასევე წახალისების თვალსაზრისით.

აზრი გამოთქვა: თეკლა მაჭავარიანმა და ისაუბრა ორ ისეთ პრობლემურ საკითხზე: პირველი სოფელ ნიკორწმინდაში საავტომობილო გზასთან ახლოს მდებარე სტადიონთან არ არის სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები (ე.წ ბუგაროვკი) და ითხოვა მისი გაკეთება უსაფრხოების დაცვის მიზნით. მეორე თემა მიუსაფარი ძაღლების საკითხი და იმსჯელა წევრებთან ერთად როგორ უნდა აღმოიფხვრას ეს პრობლემა მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა ქევანიშვილმა აღნიშნა : იწყება პატრონიანი და დროებით შეკედლებული ძაღლების აღრიცხვა , ჩიპების გაკეთება და შესაბამისი ღონისძიების გატარება , არცერთი ძაღლი არ უნდა დარჩეს აღურიცხავი. მერმა ასევე აღნიშნა რომ დამტკიცდა **ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი** რომელიც განსაზღვრავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციის მართვის სამართლებრივ საფუძვლებსა და განხორციელების წესს. წესი ადგენს შინაური ბინადარი ცხოველების,

როგორც ცოცხალი არსებების, კეთილდღეობის უზრუნველყოფის, მათი ბუნებრივი უფლებების აღიარებისა და დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს, აგრეთვე მეპატრონეთა და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების ვალდებულებებს. წესის მიღების მიზანია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შინაური ბინადარი ცხოველების მართვის სფეროში თანამედროვე, საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული და ჰუმანურ პრინციპებზე დაფუძნებული მეთოდების დანერგვა და განხორციელება, ურბანულ გარემოში ადამიანის და შინაური ბინადარი ცხოველის უსაფრთხო და თანაარსებობაზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფა, ასევე აღნიშნულ სფეროში შესაძლო საფრთხეებისა და რისკების იდენტიფიცირება და მათი პრევენცია/მართვა.

შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის საკითხებზე მუნიციპალიტეტთან ერთად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო არის პასუხისმგებელი.

აზრი გამოთქვა: თამარ ფრუიძემ და ითხოვა ასევე ყურადღების გამახვილება ცხენებთან დაკავშირებით ,რომლებიც ქმნიან სავარიო სიტუაციებს მუნიციპალიტეტში. მერის მოადგილემ თამარ ქევანაშვილმა აღნიშნა, რომ ხდება თვეში ერთხელ მაინც შეხვედრა ცხენების მეპატრონეებთან გაფრთხილების მიზნით, რომ არ გამოუშვან საცხოვრებელი ადგილიდან და დაიცვან/მიიღონ უსაფრხოების ზომები.

აზრი გამოთქვა: ვერა მელაშვილმა, რომელმაც ითხოვა ხელოვნური საფარის დაგება სოფელ ხიმშის სპორტულ მოედანზე, რადგან ამ ეტაპზე არსებულ სტადიონზე ბუნებრივი საფარი არის ქვაღორღით (ხრეში) შევსებული და იგი უსაფრთხო არ არის ბავშვებისთვის, აღნიშნა ის ფაქტიც ,რომ სოფელში საკმაოდ ბევრი ბავშვი იყენებს ამ სტადიონს.

მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა ქევანიშვილმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა საბჭოს წევრებს მობრძანებისთვის და აღნიშნა , რომ ყოველთვის მზად არის მათ მოსასმენად , ნებისმიერ დროს შეუძლიათ საჭიროებიდან გამომდინარე ნებისმიერ საკითზე მიმართონ როგორც მერს, ასევე მუნიციპალიტეტს.

დადგინდეს : მორიგი სხდომა გაიმართოს მომდევნო მე-3 თვეს , დამატებით თარიღი წევრებს მდივნის მიერ ეცნობება სატელეფონო შეტყობინებით. საბჭოს სხდომა შესაძლებელია მოწვეულ იქნას ნებისმიერ დროს საბჭოს თავმჯდომარის საკუთარი , ან საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით .

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოცხადა.

საბჭოს თავმჯდომარე	ირინა კერესელიძე	/
სხდომის მდივანი	ეკატერინე კაციტაძე	/